„რაჭის ტურისტული და რეკრეაციული პოტენციალის გეოგრაფიული შეფასება“

სანდრო გოგოლაძე

ელ. ფოსტა: sandro.gogoladze467@ens.tsu.edu.ge

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის თემის **აქტუალობა** უკავშირდება რამდენიმე მომენტს. რაჭა წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ რეგიონს (მოსახლეობის დეპოპულაცია, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი, ახალი დაცული ტერიტორიების შექმნა, მსხვილი ენერგეტიკული პროექტები), რაც სივრცითი მოწყობის წინაშე ახალ გამოწვევებს აყენებს. რაჭის სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური ვითარების გამოსწორება ტურიზმის განვითარებითაცაა შესაძლებელი, რომლის დაგეგმარება მისი პოტენციალის სრულყოფილი შესწავლის გარეშე წარმოუდგენელია.

კვლევის მიზანს წარმოადგენს რაჭის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების (სამკურნალო, საგანმანათლებლო, აგრარული, სათავგადასავლო და სხვა) პოტენციალის კომპლექსური და სრულყოფილი შეფასება, რაც დღემდე არ განხორციელებულა. ამგვარი შეფასება საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ტურისტული ცენტრების (რესურსების თავმოყრის) არეალები, რომელთაც მიენიჭებათ პრიორეტეტული ადგილების სტატუსი სივრცითი მოწყობისა და დეგეგმარებისას.

კვლევის მიზანთან დაკავშირებულია შემდეგი **ამოცანების** გადაწყვეტა:

1. ზოგადად მთიანი ტერიტორიების (კონკრეტულად კი რაჭის) ბუნებრივი გარემოს, ეკოლოგიური, დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გავლენის შეფასება ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე;

2. მიმდინარე და მოსალოდნელი სამეურნეო პროექტების სივრცითი თავისებურებების ანალიზი;

3. რაჭის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალის გამოვლენა;

4. რაჭაში ტურიზმის განვითარებისათვის მაღალი, საშუალო და დაბალი პოტენციალის მქონე არეალების განსაზღვრა.

კვლევის მეთოდოლოგია უკავშირდება გეოგრაფიულ ანალიზსა და სინთეზს, ლანდშაფტური დაგეგმარების ევროპულ გამოცდილებას, ცენტრალურ ადგილთა თეორიულ კონცეფციას და სტატისტიკური მასალის ანალიზს.

საკვლევი პროექტის განხორციელების შედეგად რაჭისთვის პირველად: გამოვლენილ იქნება რაჭის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალი და განისაზღვრება რაჭაში ტურიზმის განვითარებისათვის სხვადასხვა პოტენციალის მქონე არეალები.